572
1975

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1975 დეკემბერი N 12

# ფერადი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საახალწლო

**მარიჯან**

ჩემო მალხაზებო,
ჩემო ჰატარებო,
მაშ, მიიღეთ ჩემგან
სიყვარული წრფელი,
მინდა მოგილოცოთ
ძეც ახალი წელი.
მუდამ დაგცქეროდეთ
მოწმენდილი ზეცა,
ალერსიან სხივებს
გიგზავნიდეთ მზეცა.
სიო გიმღეროდეთ
მილისპირულ ნანას,
იზრდებოდეთ მშვიდად,
წუნარად, თანდათანა,
იყოთ ბედნიერი,
იყოთ უდარდელი,
მუდამ გაკვლებოდეთ
დედის თბილი ხელი.
არა კმარა მხოლოდ
თამაში და ხტომა,
შეიყვარეთ წიგნი,
შეეჩვიეთ შრომას.
თქვენი კარგი ქცევით,
სწავლით—გაახარეთ
მარად საყვარელი
მშობლიური მხარე.

ნახატი **თემურ ჩირინაშვილისა**

ნახატები ზაურ დეისაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თოვლის პაპა და მელია

ავთანდილ გურგენიძე

თოვლის პაპა მოვიდა—
თეთრი,
წვერებგრძელია;
ყველა დაასაჩუქრა,
გამოტოვა მელია.

12405

ასე უთხრა:
— მელაო,
შენთან დი-ი-ი-დი ბოდიში;
მაშინ დაგასაჩუქრებ,
როცა ტყუილს მოიშლი...

# ფულუროში

ლიდა სჯვილია

დედა ციყვმა ფულუროში
გაახურა ბუხარი.
თხილი ააჩხრიალა—
ძველი, ნაყარნუყარი.

აღლინდა მამა ციყვი:
— ვოსარადა, ვოისა...
წელს ცხრა შვილი გვეყოლება,
ყველას გვერდით მოვისვამ...—
აჩურჩულდა თხილის ბუჩქი:
— მაშინ, მეც ბევრს მოვისხამ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბაბის ბიჭი

ქეთევან ჭილაშვილი

ნახატები თამაზ ხუციშვილისა

საახალწლოდ კვნიწამ თავისი დეიდაშვილები წერილით მოიპატიჟა:

„ჩემო დაიკოებო,—მზია და ლია! გთხოვთ სოფელში გვეწვიოთ, შარშან ხომ მე ვიყავი თქვენი სტუმარი, წელს მე გეპატიჟებით. თქვენთვის ცალკე გადავინახეთ ჩირი, ხილი, სასუსნავი... ახლა თოვლის პაპას არ იკითხავთ? ჰიშკართან ისეთი გოლიათი უნდა წამოვდგა, რომ თვალი ვერ ააწვდინოთ... მოუთმენლად გელით!

თქვენი კვნიწა.

გოგონებმა სათითაოდ წაიკითხეს წერილი და ყოველ ცისმარე თითებზე ითვლიდნენ ახალწლამდე დარჩენილ დღეებს. ამათაც იზრუნეს კვნიწას საჩუქრებზე: შეკრეს და შეფუთეს—ეს ფერადი ფანქრებიო, სახატავი რვეულებიო, კანფეტებიო.

მოახლოვდა სტუმრობის დრო. კვნიწა დაძმარებული დადიოდა ეზოში და წამდაუწუმ ცას შეჰყურებდა,—თოვლი ხომ არ წამოვიდაო. თოვლი კი არა, სოფლის არემარეზე ერთი ფიფქიც არსად ჩამოვარდა, არა და, როგორი საქმეა, სიტყვის გატეხა? კვნიწა ამის ბიჭი არ არის—თქვას და არ შეასრულოს!

— დედი, ნუთუ თოვლი არც ამაღამ წამოვა?—მიუჯდა საღამო ხანზე კვნიწა აგუგუნებულ თუნუქის ღუმელს,—ტელევიზორში რა თქვეს, როგორი ამინდი იქნებაო?

— აბა, რა ვიცი, შვილო, არაფერი გამიგია! შარშან ამ დროს, არ გახსოვს, როგორ დაბარდნა!

— მა რალა მახსოვს... წელს რალა ჯანდაბა მოუვიდა?!

— სიცივემ კი მოუჭირა, კიდევ მიუკეთე შეშა. გათბი, დღეს მთელი დღე გარეთ დააღამე...

— ამინდს ვაკვირდებოდი, აბა, თუ ჩამოყარა ფიფქი...

— მაგაზე რაზე სცდები, შვილო, ჩამოყრის და აქ არ იქნება... ცოტა საქმე გაქვს სახლში, გადმოიღე და გოზინაყისათვის კაკალი დაამტვრიე!..

არხეინად ლაპარაკობდა კვნიწას დედა. აბა, ერთი, შვილის გულში ჩაეხედა, რა დარდი უტრიალებდა: თოვლი თუ არ მოვიდოდა, გოლიათი თოვლის პაპა როგორ წამოედგა? არ წამოედგა და, მზიასა და ლიას მეტიც არ უნდოდათ, მთელი წელიწადი საყვედურს არ გამოულევდნენ—ტრაბახაო, ბაქიაო! მე თქვენ გეტყვით, ენაზე ჭავლი მოედებათ, კვნიწაც იმათ არ შეარქვეს!—ჩვენზე პატარა ხარო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვნიწა თან კაკალს ამტვრევდა, თან დროდადრო გარბოდა და აივნიდან ხელს იშვერდა, იქნებ ფიფქი დამეცესო...

— ჰაი, ჩემო ენავ!—ჯავრობდა გულში კვნიწა,—ვინ გეწეოდა რომ წინამასწარაობდი? თუ მოვიდოდა თოვლი და წამოვდგამდი იმ თოვლის პაპას, ხომ კარგი! არ მოვიდოდა და პირს არავისთან შევირცხვენდი. ახლა?

კვნიწამ უცებ სატეხელა მიაგდო და განჯინას ეცა.

— მანდ რას ეძებ, კვნიწავ!—დაეხმაურა დედა.

— ბამბას.

— მომიკვდეს თავი, ყური აგტკივდა, განა! მთელი დღე უქუდოდ რომ დაკავკავებ...

— ყური არა, ცხვირი!—ხუმრობის გუნებაზე დადგა ბიჭი,—საბნისთვის რომ იყიდე, ის ბამბა სად არის? მე რომ წამოგიღე მაღაზიიდან?..

— ჰო, მერე, შვილო?

— მერე ისა, რომა...—სიტყვა აღარ დაამთავრა კვნიწამ, რაკი ბამბას მიაგნო.

სოფელში საახალწლო სიხარული იდგა.

კვნიწაანთ ჭიშკართან, თუ კარგად დააკვირდებოდით, თავიდან ფეხებამდე ბამბით შემოსილი ბიჭი იდგა. პირში ერთი მტკაველა სტაფილო ეჭირა, ვითომ ცხვირიაო, ბუხრის ქუდი შუბლზე ჩამოეფხატა და ცალ ხელში ცოცხი შეემართა...

უცებ მოსახვევიდან მანქანა გამოხტა და ზედ ამათ ჭიშკართან გაჩერდა. ფიფქებივით გადმოფრინდნენ პაწია ქალები, მშობლებს აღარ აცალეს და ჟივილ-ხივილით შეცვივდნენ ეზოში.

— აბა, გოლიათი თოვლის პაპა?—იკითხა მზიამ.

— გოლიათი კი არა, ჩიაც არა ჩანს!—აკისკისდა ლია.

— კვნიწა, ჰაი, კვნიწა!—ხელის გულები პირთან მიიტანეს გოგოებმა.

კვნიწა ხმას როგორ ამოიღებდა, პირში იმოდენა სტაფილო ეჭირა, თან ისე იყო ჩაფუთვნილი, სულ ოფლად იღვრებოდა.

— აბა, თუ დამინახონ! როდემდე ვიდგე ასე გაშეშებული!—გაბრაზდა კვნიწა და „ბოლო-ფილოცხვირი“ შეახრამუნა. ამას მზიამაც მოჰკრა თვალი.

— უი, ბამბის ბიჭი!—კვერი დაუკრა ლიამაც და მისცვივდნენ.

ბამბის ბიჭმა ბოხოხი მოიხადა და თავი მდაბლად დაუკრა.

— კვნიწა, ჩვენი კვნიწა!—იცნეს გოგოებმა დეიდაშვილი, ხელად გაწეწ-გამოწეწეს ბამბა და მასპინძელს გულითადად გადაეხვივნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოდით, თოვლი ავაგოროთ

ირინე უშვერიძე

ბარდნის ნელა,
ხვავრიელად,
თოვას კარგი პირი უჩანს.
საგუნდაოდ გამოსულან:
გოგა,
გია,
დათო,
უჩა.
ეძახიან ტოლ გოგონებს—
ნინოს,
ლიას,
ეკას,
მაკას:
— მოდით, თოვლი ავაგოროთ,
გავაკეთოთ თოვლის პაპა.

# მოიწყინეს...

ჯანსუღ ნიქაბაძე

რა ხანია შემოდგომა
ოქროსფერად მიილია,
ზღვისპირ ყინვით დამზრალ ხეებს
ვიშვიში და ტირილი აქვთ.
ცად ატყორცნილ ევკალიპტებს
კენწერონი ელუნებათ,

მოიწყინეს თოლიებმა,
შაშვებმა და ბელურებმა.
თოვს და შორით ნაძვის ხენი
ჩანან მწვანე კელაპტრებად,
ნავსადგურში დიდრონ გემებს
დიდი ზღვები ენატრებათ.

ნახატები სოფიო კინწურაშვილისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# კოსმოსური ხომალდი

ნინო ბეზარაშვილი

ნახატები ზურაბ ქაპანაძისა

დეკემბერი იდგა. უკვე კარგად ციოდა. დიდი-ღობით თრთვიღს დებდა. თეთრი ხავერდისებური ბუსუსებით შეიხორხღებოდა ხოღმე გამხმარი კა-ჭაჭა ბაღახის ღეროები და ხის ტოტები. თოვ-ღი კი არა და არ მოდიოდა.

— თოვღი როდის უნდა მოვიდეს, მამი?—ვკი-თხე ერთ საღამოს მამაჩემს.

— არ ვიცი, შვიღო, შეიძღება მოვიდეს, შეიძ-ღება არა. თუმცა დღეს სუსხიანი ნიავწანწაღა იყო, საღამო ხანზე კი ჩათბა, ასე იცის ხოღმე თოვღის მოსვღის წინ, იქნებ მოვიდეს კიდეც.

მართღაც ასრუღდა მამაჩემის ვარაუდი. სარკმ-ღიდან გარეთ გავიხედე და, რას ვხედავ! ელექტ-რონის ბოძზე ჩამოკიდებუღ ნათურის შუქზე პეპღებივით ირეოდნენ თოვღის წვრიღ-წვრიღი ფანტეღები, უგზო-უკვღოდ დაფარფატებდნენ, ერთმანეთს აწყდებოდნენ. ცოტა ხნის შემდეგ კი ბამბის ფთიღებივით მსხვიღ-მსხვიღი მძიმე ფიფ-ქები წამოვიდა.

— თოვს!—რა კარგია!—გავვარდი გარეთ.

— თოვს, თოვს!—ერთი ამბავი ჰქონდათ მე-ზობეღ აივნებზე გამოშღიღ გოგო-ბიჭებს.

შინ გუღი არავის არ უჩერდებოდა, დიდებიც გამოვიდნენ გარეთ, იმათაც უხაროდათ თოვღის მოსვღა.

— შვიღო, პირვეღი თოვღია, ინატრე რამე,— მითხრა ბებიამ, როცა შინ შევედი.

მეც ვინატრე:

— ნეტავ ერთი, ციგა მქონდეს, კარგი, ქაღა-ქიდან რომ ჩამოიტანენ ხოღმე, ისეთი.

— ციგა რა სანატრეღია,—ჩაიბუტბუტა მა-მაჩემმა,—ფიცარი, ღურსმანი და მისი ჯანი!

მეორე დღეს კიდევ თოვდა. ჩვენი უბნის გოგო-ბიჭები გუნდაობდნენ, ჟრიამუღობდნენ: მე კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამაჩემის სიტყვები ყურიდან არ მციდებოდა: „ფიცარი, ღურსმანი და მისი ჯანიო“,—მარანში სადღაც ფიცრები მეგულებოდა, გაფოთებული დავეძებდი. ბოლოს, როგორც იქნა, მივაგენი. ფიცრებს ძველი ბარის ტარები, მოკაკული ღურსმნები და შაღაშინიც წამოვაყოლე. ყველაფერი საჩეხში დავყარე და მოკაკულ ღურსმნებს ქვაზე ჩაქუჩით სწორება დავუწყე.

მეზობლის გოგო-ბიჭებმა კაკუნი რომ გაიგონეს, მაშინვე ჩემთან მოგროვდნენ.

— რას აკეთებ, ღევან?

— ციგა უნდა გავაკეთო.

— ციგა?— თქვეს და სადღაც გაიქცნენ, გრძელ-გრძელი ძელები, ღურსმნები და თასმები მოარბენინეს.

ბარის ტარები შაღაშინით ჩავასწორე, დავაბრტყელე, მერე ხერხი ავიღე, რომ დამემოკლებინა, მაგრამ ერთი ამბავი ატეხეს გოგოებმა:

— არ დაამოკლო, ღევან, არა, დიდი ციგა გაკეთე, რომ ყველანი დავსხდეთ!

— მეც დამსვი რა, ღევან, მეც!—მეხვეწებოდა შაღში შეფუთვნილი, ყველაზე პატარა გოგონა—ღაღი.

— მეც!—შემომციცინებდნენ სხვებიც.

მართლაც, თუ პატარა ციგას გავაკეთებდი, იმაზე მარტო მე დავეტეოდი, ესენი კი შორიდან დამიწყებდნენ ყურებას. ვიფიქრე, მოდი, დიდ ციგას გავაკეთებ-მეთქი და ბარის ტარები აღარ დავამოკლე,—ისევე დავაკარით ფიცრები. თასმას გამოვაბამდი და ციგაც მზად იქნებოდა, მაგრამ, უცბად მეზობლის ბიჭუნამ, ზურიკომ, მოირბინა; კარგად გარანდული სახლის სვეტების თუ ძელების ოთხკუთხა, კუბიკებისნაირი ნაჭრები მიეხუტებინა გულზე. იმათ ახლახან გამართეს სახლი და აღბათ მაშინ მოაგროვა. ბიჭი არაფერს ამბობდა, მხოლოდ ღიმილით შემომყურებდა. თვალებში ვატყობდი, მეხვეწებოდა, რომ ის კუბიკები რამეში გამომეყენებინა. დიდხანს ვიფიქრე და ვერ მივხვდი, რაში გამომადგებოდა. ბოლოს, ავირჩიე ოთხი თანატოლი კუბიკი და ციგის ოთხივე კუთხეში თითო-თითო დავამაგრე. მერე აქეთ-იქიდან კუბიკებზე გიგას მოტანილი ძელები გავაწყეთ, მოაჯირი იყო და, მოაჯირი!

— ეს ციგა კი არა, „კოსმოსური ხომალდიაო!“—შესძახა თამრიკომ.

ეს სახელი ყველას მოგვეწონა და ციგას „კოსმოსური ხომალდი“ შევარქვით.

მართლაც უცნაური იყო ჩვენი ციგა. წინ ცხვირი ნავივით ჰქონდა წაწვეტებული, თანაც დიდი იყო, ციგას არა ჰგავდა. ჩავსხედით. პატარა ღაღი თამრიკომ ჩაისვა კალთაში, უკან ზურიკო და გიგა დასხდნენ. მე კი სულ წინ მოვიკალათე და „ხომალდი“ დავძარი.

ხელები გავშალე, „მოვდივართ!“—დავიძახეთ და დავეშვით.

პირველად ციგას უჭირდა სრიალი, თოვლს ძნელად მიარღვევდა, მაგრამ, როცა თოვლი გაიკვალა და გაისიპა, მაშინ კი, მართლა კოსმოსური ხომალდივით მიჰქროდა.

ჩვენ გვერდით ღამაზ-ღამაზი, ქალაქიდან ჩამოტანილი ციგებით სრიალებდნენ ბიჭები. თითო-თითო ისხდნენ, სულ წითლად და ყვითლად ბრღვიალებდა თოვლში იმათი ციგები, რითაც ძა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღიან მოსწონდათ ბიჭებს თავი, მაგრამ არც ჩვენ ვიწუნებდით ჩვენს „კოსმოსურ ხომალდს“. ჯერ ერთი, სხვაზე მეტად თუ არა, ნაკლებად არ მისრიალებდა, მეორეც, ზედ ყველანი ვეტეოდით.

# ბუხართან

ჯემალ ინჯია

ჩემო ბებო, როგორ გვიყვარს
შენი თბილი ბუხარი.
ვეფიცხებით, ვესუსებით,
წვიმა არის თუ ქარი.

გვერდებს ვითბობთ, ოდონდ მის წინ,
როცა ზღაპარს გვიყვები,
ისე ვზიავართ, როგორც ხის ძირს
ამოსული ნიყვები!

ნახატი სოფიო კინწურაშვილისა

# საახალწლო ეპიტაფიები

კ. ბოჯიაშვილი

ყველოვნების ოსტატთა
კონცერტი მაქვს ბოსტანთან!

— ბინდა რომ შეგიხრულოთ
ჩემი დანაპირები;
გასეირნებთ მარხილით
მთა-გორებზე — ირეგი.

— ხაჭაპური გამოვაცხე,
ჰო, რა გემრიელია...
ქათამს კვცზე შეგიბრალეთ
გელოდებით — მელია.

— ბლოქადა მაქვს კაკალი,
თხილიცა და ნიეციც;
გაგიკეთებთ გოზინაყს
კუდბუოქუნა — ციყვი.

— აქეთ, აქეთ მობრძანდით
ჭუჭულების ამალით,
ნაახალწლო სიმღერას
შეგასწავლით — მამალი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ეს რა სიცილ-ხარხარია,
ნეტავ რა ხმაურია?
— ტელევიზორთან გვეძახის
შეგობარი — ბუარია.

— წამო, ჩემთან წამოდიო,—
არვინ არ მითხრა;
თბილი რმე რომ ბოვინდებათ,
მაშინ გახსოვთ — თხა.

— მუცელი სულ ადარ მტკივა,
რა ხანია მოვრჩი,
ახლა მაინც დაშპატიქეთ,
გესვეწებით — ბოჭი.

— ბოჩოლავ და ბატკანო,
ბოუთმენლად გელით,
არ დატოვოთ მშიერი
ნათლიმამა — მგელი.

ნახატები: მანანა ბერაძისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ნანა

ვანო ურჯუმელაშვილი

ნახატი თამაზ ხუციშვილისა

ნანამ მხიარულ გუნებაზე გამოიღვიძა. ფაციფუცით ჩაიცვა და ფანჯარასთან მიირბინა.

სახლის სახურავებს ექიმ აიბოლიტის ჩაჩი ეხურათ. ხეები თეთრად იყო გადაპენტილი.

მანქანებს დათოვლილ გზაზე სიარული უჭირდათ, ნელა, ფრთხილად მიზოზინებდნენ.

ცასა სწვდებოდა თოვლის მოსვლით გახარებული ბავშვების ყიჟინა. ვინ თოვლის პაპას სდგამდა, ვის კიდევ გუნდაობა გაეჩაღებია.

ნანა სასადილო ოთახში გავიდა:

— დედიკო, გილოცავ ახალ წელს!

დედამ შვილი მკერდში ჩაიკრა, კანფეტი მისცა, ასე ტკბილად დამიბერდიო.

მაგიდა ხილითა და ტკბილეულით იყო სავსე.

სინზე დალაგებული გოზინაყი ნანას თითს უქნევდა: მოდი, პირი ჩაიტკბეო.

დედა ტელეფონს მიუჯდა, ვილას არ დაურეკა: ბიძებს, ბიცოლებს, მეგობრებს—დღეს სადილად გვეწვიეთო.

ბოლოს ბებიკო დარეჯანსაც დაელაპარაკა:

— დედი, ისევ შინა ხარ? რამდენჯერ უნდა დაგირეკო, რატომ არ მოდიხარ? საჩინო სტუმრები გვეყოლება, ჩემი ნაჩუქარი კაბა და ფეხსაცმელები ჩაიცვი. ჰო... ახლავე, დაუყოვნებლივ წამოდი!

დედამ ყურმილი რომ დადო, ნანამ მორიდებით თქვა:

— დედიკო, ბებია ნატოსაც დავუძახოთ.

— რა ვქნა, შვილო, ტელეფონი არა აქვს, აბა, როგორ შევატყობინო?

— მე წავალ!

— ამ თოვლში ვერ გაგიშვებ!

— დედიკო, თოვლი რას დამიშლის, წავალ, რა...

— ბებია ნატო, შვილო, ხვალ მოვიყვანოთ, დამეხმარება! ადვილი როდია, ამოდენა ჭურჭლის დარეცხვა, ქვაბების დახეხვა, სახლის დალაგება!

— დედიკო, დღეს დავუძახოთ რა, მამიკოსაც გაეხარდება! გეხვეწები, დღეს დავუძახოთ!

— კარგი, შვილო, რახან ასე გინდა, წადი,

ოლონდ, ბებია ნატოს ცალყბად უთხარი, გვეწვიეთქო.

ბებია ნატოს ტახტზე მოეკეცა და წითელ ხელთათმანებს ქსოვდა.

კარებზე რომ მიუკაკუნეს, გახარებული წამოდგა, ჩემი ცუგრუმელა გოგო იქნება, იმან იცის ასე ფრთხილად დაკაკუნებაო. გასაღები გადაატრიალა საკეტში და ბებია და შვილიშვილი ერთმანეთს ჩაეკვრნენ.

— ბებიკო, გილოცავ ახალ წელს! — თქვა ნანამ და მოხუცს კანფეტი გაუწოდა.

ბებიამაც მიულოცა შვილიშვილს ბედნიერი დღე და პირი გოზინაყით ჩაუტკბარუნა. წითელი ხელთათმანებიც აჩუქა: შენ მოგიქსოვე, შვილო, ჩაიცვი, ხელებზე არ შეგცივაო.

ნანამ ბებიას მადლობა გადაუხადა, ხელთათმანები მოირგო, მერე კი ერთბაშად ყბა მოიგრიხა და წაიჯლიყინა:

— ბებიკო, დედამ შემოგითვალა, დღეს სადილზე გვეწვიეო.

მოხუცმა კალთებზე ხელი შემოირტყა:

— ბებია გენაცვალოს, შვილო, ყბას რა გვერდზე იქცევ, რა დაგემართა?

— არაფერი! დედამ მითხრა ბებია ნატო ცალყბად დაპატიჟეო!

# წისქვილი

ანზორ აბულაშვილი

ნახატი ომარ მესხისა

აი, თეთრი წისქვილი—
ჭალისპირას მდგარი,
კარს აწედება გარედან
ეინვა, თოვლი, ქარი...
და აქინდიც შუაცეცხლს
დასდგომია ისევ,
იმის ტკაცუნს თიიქოსდა
სურათიდან ვისმენ.
ეფიცხება შუაცეცხლს
მეწისქვილე — ბაბა
და ციცქნა ბიჭს გაუჩნდა
გულში ერთი ნატვრა:
— ამ წისქვილში ამეოფა,
ამ ბაბუას გვერდით,
ღამეს ახალიწლისას
ერთად გავათევდით.
ქარს ექროლა, მერე რა,
რას გვიზამდა ქარი! —
იმ ბიჭს ნატრობს წისქვილიც
ჭალისპირას მდგარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# გვანცა

ვახტანგ ძნელაძე

თოჯინასთვის კაბას
კერავს ჩვენი გვანცა;
კერა, კერა, კერა,
ძლიერ დაიქანცა.

ერთ თოჯინას უთხრა:
— ხვალ მეგობრებს ველი,
დღეობაა ჩემი
და ახალი წელი.

თუ გინდა, რომ მათთან
ეს ზიზია გეცვას,
ცოტა მომეხმარე,
გაისარჯე შენცა!

ნახატი მზია უგულავასი

## ხეების გასაუბრება

გიორგი წერეთელი

კაკლის ხემ თქვა:—მეო...
ვერ მჯობნის სხვა ხეო.
მიწას კაკლით დავფარავ,
რტოს რომ დავარხევო.

აქ ცაცხვი გაგულისდა:
— რა იტრაბახეო,
შენზე ჩია, დაბალი,
აბა, სად მნახეო,
იმოდენა ვიზრდები
ვარ სასაწნახლეო.

ნაძვის ხე გაიფოფრა:
— ახლა მე მკითხეო!..

კაკლის ხე აგუგუნდა:
— ახალი წლის დღეო,
უკაკლოდ და უთაფლოდ
აბა, სად ნახეო,
ჩვენ ერთმანეთს ვამშვენებთ,
ჩემო ნაძვის ხეო,
მე და ცაცხვი თუ შევცდით,
შენ რად გაგვრისხეო!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ხიგნები

ნოდარ კეკელიძე

ნახატები ვახტანგ გულისაშვილისა

მთელი ღამე ბარაქიანად თოვდა. ორლობეები და ღრანტეები თეთრი, ფუმფუღა საბურველით გადაიღესა და გადასწორდა.

ნუგზარის მამა, ძია პავღე, უთენია გამოვიდა ეზოში, საბუხრედ შეშა დასჭრა, დააპო; მერე ჭიშკრამდე თოვლი გაკვალა და შინ რომ შებრუნდა, ნალვლიანად ჩაიღაპარაკა:

— ერიჭაა, ეგრე თუ ითოვა, ტყეში ნადირს უთუოდ გაუჭირდება!

ნუგზარი თვალებისფშვნეტით წამოჯდა საწოლზე:

— მამი, ნადირს ტყეში რად უნდა გაუჭირდეს, ჰა?

— ასეთ ყიამათ, უცხვირპირო ამინდში, შვილო, არც კაცს აყრია ხეირი და არც ნადირს. ამხელა თოვლში ნადირი ვერც დადის და ვერც საჭმელს შოულობს!

— იი, მაშ დათვს გაუჭირდება საჭმლის შოვნა?

— ჰმ!—გაელიმა პავღეს,—დათვს, ახლა ტყეში რა გამოიყვანს, დაზამთრდება თუ არა, შეძვრება თავის ბუნაგში, ტოტებს ცხვირთან შემოიწყობს, მშვიდსა და უდარდელ ხვრინვას ამოუშვებს, ვიდრე კარგად არ გამოზაფხულდება, გარეთ არც კი გამოიხედავს! არაფერსაც არა სჭამს, მთელი ზამთარი სძინავს. არც სხვა ნადირს უჭირს რამე, მგელი—მგლობას არ მოიშლის, დაძრწის, დასუნსულებს, საკბილოს დაეძებს. არც მელა-ტურაა ცუდ ღლეში. აი, ყველაზე საცოდავი და უსუსური ახლა შველ-ირემია, ასეთ ამინდში აღარც ბალახია და აღარც ნეკერი. დადიან და დაეხეტებიან აღმა-დაღმა. გახსოვს, შემოდგომისას ქვამარილი რომ დავუწყეთ ახოებში?

— კი, როგორ არა!

— ჰოდა, ასეთ თოვლში ისინი ვერც ქვამარილს აგნებენ და ვერც ვერაფერს!

— მაშ, რა ეშველებათ?—სახე დაუნაღვლიანდა ნუგზარს.

— აბა, რა ვიცი!—მხრები აიჩეჩა პავღემ,—ნადირი, შვილო, წინასწარ გრძნობს ხიფათს და ფათერაკის თავიდან ასარიდებლად, ადამიანებისაკენ მიიღტვის! იციან, გუმანით ხვდებიან, განსაცდელისას ადამიანი მათ ღვთის ანაბარა რომ არ მიატოვებს!

ისაუზმეს. პავღემ თბილად ჩაიცვა, თოფი მხარზე გადაიკიდა, ცხენი მარხილში შეაბა, ნაგაზი გაიყოლა და წავიდა.

სოფელს რომ გასცდნენ და ტყეში შევიდნენ, ნაგაზმა ყურები დაცქვიტა, თავი ასწია და სივრ-

ცე დაყნოსა. მერე უცებ ისკუპა და თოვლში ჩაკარგულ გზაზე ყეფითა და ღრენით გაენთო.

— ყურშაააა!—მიაძახა პავლემ, მარხილი შეაყენა, თოფს ხელი დაავლო და იქით გაიქცა, საითაც წელან ძაღლი მიიმალა. ყურშა ახლა უჩვეულოდ წკმუტუნებდა.

ხრამში ქორბუდა ეგდო პირქვე, კისერმოღრეცილი, ყრუ ხმით ზმუოდა. წამოიწეოდა წამოსადგომად, დაიქნევდა უზარმაზარ რქებს, მაგრამ წინა ფეხები უმტყუნებდა და იღაჯგაწყვეტილი ისევ ულონოდ მიეგდებოდა.

— დამაცა, ახლავე! — ჩასძახა პავლემ პირუტყვს, მერე მარხილისაკენ გაეშურა, პავლზე მიმაგრებული თოკი ახსნა, ამოიღლიავა და ხრამს ქვემოდან შემოუარა. ნაგაზი ხან წინ გაუხტებოდა პატრონს, ხან უკან ჩამორჩებოდა. ასე სვენებ-სვენებით, ნება-ნება ჩაივაკეს და ჩავიდნენ. ნესტოებდაბერილი, განაწამები პირუტყვი, სასოებით შეაჩერდა მოახლოვებულ ადამიანს და დიდრონი ღამაზი თვალებიდან კურცხალი გადმოუგორდა.

— შეგირცხვა ვაჟკაცობა!—გაულიმა პავლემ ქორბუდას,—მერე, რა მოხდა, შე დალოცვილო, ვის არ გასჭირვებია!

პავლემ ირმის წინ ჩაიმუხლა, ირემს ფეხი კოჭში ჰქონდა გადატეხილი, ქაჩაჩი ულონოდ ეკიდა...

პავლე ხრამიდან ამობობღდა. დანით ხეს მოზრდილი სქელი ქერქი ამოაჭრა, გაკრეჭა, ქორბუდას მოტეხილ ფეხზე აქეთ-იქიდან შემოადო და თოკით შეუკრა.

იმავე დღეს მამა-შვილმა გომური შუაზე გატიხრეს და ერთში ძროხა მოათავსეს თავისი უშობელით, მეორეში ქორბუდა შეასახლეს.

ერთ დილით ნუგზარს მამამისმა ქვამარილი მისცა, ქორბუდას ჩაუტანეო. ნუგზარმა ეზო გაირბინა და გომურს მიადგა, მაგრამ ადგილზე გაქვავდა: გომურის კარი ღიად დახვდა, ნუგზარმა ქვამარილი იქვე დააგდო, მამამისს მივარდა,— ქორბუდა გაპარულაო.

— დარდი ნუ გაქვს, შვილო!—დააიმედა მამამ და ეშმაკურად ჩაიღიმა.

— ქორბუდა თავისიანებს არასოდეს არ მიატოვებს... ვაცადოთ, შვილო, აღბათ ტყე მოესურვილა, გულს მოიოხებს და მობრუნდება!

ერთხელაც, შუალამისას, პავლე ნაგაზის ყმუილმა ყეფამ გამოაღვიძა. წამოხტა, ტანთ გადაიცვა და ეზოში გავარდა. ყურშა ღობეზე ატოტებულიყო და წკმუტუნითა და კუდის ქნევით ღობის გადალმა რაღაცას ეძაღებოდა. პავლემ ჭიშკარი გამოაღო და გაოცდა: ორღობეში ირმების ჯოგი შენიშნა. წინ ქორბუდა იდგა. ამაყად აეზიდა რქები და თავს ისე აქნევდა, თითქოს დამხვდურს ესალმებაო.

— მობრძანდით, მობრძანდით!—გაეღიმა პავლეს, ჭიშკარი ფართედ გააღო და ჯოგი ეზოში შემოუშვა.

ხიზნებმა ზამთარი იქ გაატარეს, გამოიზამთრეს. გამოზაფხულზე კი, როცა ყველაფერი ნაირფერად აყვავდა და არემარეს მწვანე სიხასხასე ხალიჩასავით მოედო, იალაღებისაკენ გასწიეს.

ვინ იცის, როგორი ზამთარი მობრუნდება, ერთ მშვენიერ დღეს იქნებ ისევ მიაკითხონ ძია პავლეს ქორბუდა ირმებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბუნების კარი

## ზამთარი

არჩილ ჯანაშვილი

ზამთარია. მაღალი მთების მწვერვალები ღრმა თოვლმა დაფარა. მთებში ხანგამოშვებით ისმის გამაყრუებელი გრუხუნი: სადღაც ზვავმა იხუვლა, რამდენი ჯიხვი, არჩვი თუ ნიამორი მოუყოლებია ქვეშ ზვავს.

ხეებს დიდი ხანია ფოთლები ჩამოსცვივდა. ზოგან ეს ხეები თოვლით შემოსილ გიგანტურ ურჩხულებს გვანან. მაგრამ ისევ მწვანედ გამოიყურებიან ფიჭვი, ნაძვი, სარო, სოჭი. თუმცა ისინიც თოვლით არიან დახუნძლული.

ნაყოფიც კარგა ხანია, რაც ჩამოსცვივდა ტყის ხეხილს. ჩამოცვენილი ნაყოფი ზოგი ნადირმა შეჭამა, ზოგი ფრინველმა აკენკა, ზოგი ადამიანმაც შეაგროვა ზამთრისათვის.

არჩვები და ჯიხვები მთამაღალის მწვერვალებიდან დაბლა დაეშვნენ და თავი ტყეს შეაფარეს, აქ უფრო ადვილად შოულობენ საკვებს, თუმცა არც ტყის ბინადრებს ადგათ კარგი დღე.

კვერნას მთელი დღე სძინავს თავშესაფარში. დაღამდება და, მაშინ გამოდის საკვების საძებრად. რას ჭამს? ფრინველებს, ციყვებს.

ციყვიც მთელი დღე ტოტიდან ტოტზე, ხიდან ხეზე დახტის და სასუსნავს ეძებს. დაღამებისთანავე იმალება ფუღუროში და იძინებს.

ველ-მინდვრებზე და ტყეებზე თოვლზე მკაფიოდ მოჩანს კურდღლის კვალი. იგი ისეა მიხვეულ-მოხვეული და დაკლაკნილი, რომ გამოცდილ მონადირესაც კი თავგზას აუბნევს.

ბურდღუნა დათუნიას კარგა ხანია, რაც ბუნაგს თავი შეაფარა და დაიძინა. იგი გამოზაფხულზე გამოიღვიძებს. მთელი ზამთარი არც ჭამს და არც სვამს.

ზამთრობით დიდ გასაჭირში ვარდებიან ფრინველებიც. უკვე აღარსად ჩანან მოკეკლული და მოყღურტულე პაწია ფრთოსნები, ცხელ ქვეყნებში გადაფრინდნენ ზამთრის გასატარებლად. მაგრამ ჩვენშიც ბევრი ფრინველი დარჩა, ზოგი კი ჩრდილოეთიდან მოფრინდა და ზამთრის სააგარაკოდ ჩვენი მთა და ბარი აირჩია.

აი, წიწვოვან ტყეში მიდიხართ! უთუოდ შენიშნავთ ვარდისფრად მორთულსა და მოხატულ ფრინველს. ეს ნისკარტმარწუხაა. იგი, სხვა ფრინველებისაგან განსხვავებით, გარდა გაზაფხულ-ზაფხულისა, ზამთრობითაც მრავლდება. ზამთარში ბარტყებს წიწვოვანი მცენარეების თესლით კვებავს.

ჩვენს მთასა და ბარში სხვა ბევრნაირი პაწია ფრინველიც ცხოვრობს. მათ სუსხიან ზამთარში ძალზე უჭირთ არსებობა.

ჩემო პატარა მკითხველებო! დაეხმარეთ ამ პაწია ფრთოსნებს— ხეებზე ან ფანჯრის რაფებზე საკვებურები დაკიდეთ, დაუყარეთ პურის ნაფშხვენები, მარცვლეული. სამაგიეროდ გაზაფხულსა და ზაფხულში ისინი მილიონობით მავნე მწერს მოსპობენ, ამით ჯერ ადამიანის ჭირნახულს დაიცავენ და თქვენს მიერ გაწეულ მზრუნველობას ერთი ასად აგინაზღაურებენ.

# ალფუნცელა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძელი,
ძელი
განძელი,
ავაშენე
საბ....
შემოფრინდი,
ჩიტუნა,
გარეთ
თუ ვერ გა....

**გიორგი ნერეთელი**

**გიორგი მეგრეველი**

## ვიგუნდაოთ

— ღუმელთან რომ დასკუპულხარ,
საყვარელო ჩემო დაო,
არ სჯობია გამოხვიდე
და ეზოში ვიგუნდაოთ?!

## თეთრი დიდა

**იოსებ ჩოღრიშვილი**

გამეღვიძა... ეს რა ვნახე,—
არემარე დათოვლილა!
გუშინდელ დღეს სულ არა ჰგავს
დღევანდელი თეთრი დილა.

## შარადა

ეფინება მთა და ბარს
მოქათქათე მანდილად.
ალბათ შუა თანხმოვანს
მოაცილებ ადვილად.
ბოლოში კი ანბანის
ბგერა გვინდა პირველი
და შარადის პასუხი
სახელია ფრინველის.

**შოთა ამირანაშვილი**

## მელია

**შოთა ქავთარაძე**

მელია კუდაგრძელია,
მე შენი ცოდვით დავიწვი;
ხომ ხედავ,
ყველა ქურქს გაძრობს,
ცოტა უბრალოდ ჩაიცვი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანანა ალადაშვილი

## კაკანათი

ერთხელ მამამ კაკანათით ნინოს ჩიტები დაუჭირა.

— ჩიტის დაჭერას რა უნდა!—თქვა ნინომ და მეორე დღეს თვითონ გამართა კაკანათი.

მთელი დღე უყურებდა, მაგრამ კაკანათს უსაკენკოდ ან რა ჩიტი გაეკარებოდა, ან ნინო რისი დამჭერი იყო.

— რა ჰქენი, ნინო, ვერ დაიჭირე ჩიტი?

— დღეს ჩიტებს დასვენების დღე ჰქონდათ!—თავი იმართლა ნინომ.

## ამოცანა

ექვსი კილო თაფლი
ამოვიღე სკიდან.
მესამედი მისი
ვუწილადე კიტას.
თითო კილო მივეც
ვაჟასა და ჯანსუღს.
რამდენილა დამრჩა,
ვინ დაასწრებს პასუხს?!

შოთა ამირანაშვილი

## თავსატეხი

შეავსეთ ცარიელი უჯრედები სასწავლო ნივთების სახელებით ისე, რომ ფერად სვეტში მიიღოთ წელიწადის დრო.

შეადგინა ორჯონიკიძის რაიონის, კიცხის საშ. სკოლის მოსწავლემ **ქიაზო გამრეკელაშვილმა**.

## ლეჯუსი

12705

6 23/31

76055



ნახატები ედუარდ ამბოკაძისა





## შეაღგინეთ მოთხრობა




მთავარი რედაქტორის მაგიერ იორამ ქემერტელიძე

სარედაქციო კოლეგია: კუკური გოგიაშვილი, ლეილა ერაძე, მუხრან მაჭავარიანი, მაყვალა მრევლიშვილი, ჯიმშერ მუჯირი, გიორგი როინიშვილი (სამხ. რედაქტორი), რობერტ ღარიბაშვილი, გივი ძნელაძე.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

Издательство ЦК КП Грузии

საქ. ალკკ ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი. ყდაზე ნახატი მანანა მორჩილაძისა

გამოცემის 48-ე წელი.

ტექრედაქტორი ენდი ფერეთელი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: მთ. რედაქტორის—93-41-30, 93-98-15; პ/მგ მდივნის — 93-10-32, 93-98-17; სამხ. რედაქტორის —93-98-18; განყოფ. — 93-98-19; სამდივნოსი — 93-98-16

გადაეცა ასაწყობად 11/IX-75 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/XI-75 წ., ქაღალდის ზომა 60×90 1/8 ფიზ. ნაბ. ფურც. 2,5, ტირაჟი 159.700 შეკვ. № 3426. „Дила" № 12. на грузинском языке. ფასი 20 კაპ.